

საშაბათო სკოლის შემაჯამებელი წერა მათემატიკაში

30.06.2017 - VII კლასი - ვარიანტი I

1. გამოთვალეთ

$$\frac{6\frac{1}{3} \cdot 4\frac{3}{4} + 3\frac{1}{3} \cdot (7,05 - 5\frac{4}{5})}{4\frac{5}{8} - 6,375 \cdot \frac{3}{17}} \cdot 10\frac{1}{2} \quad \text{პასუხი: } 12$$

2. ამოხსენით განტოლება

ა)  $0,6 \cdot (70x - 9) - \frac{3}{4} \cdot (6x - 5) = 15,7 - (2x - 3) \cdot 0,7$  პასუხი:  $1/2$

ბ)  $(3x + 7) : 5 - \frac{6-5x}{4} = 0$  პასუხი:  $2/37$

3. ავტომობილმა პირველ დღეს გაიარა მთელი გზის  $\frac{1}{11}$  და კიდევ 150 კმ, მეორე დღეს დარჩენილი გზის 20% და კიდევ 130 კმ. აღმოჩნდა, რომ მას გავლილი ჰქონდა მთელი გზის ნახევარი. იპოვეთ მთელი გზა. პასუხი: 1100 კმ

4. მაღაზიამ გარკვეული თანხით შეიძინა მაგიდები და სკამები. მაგიდებში გადაიხადა თანხის 25%, თანხის დანარჩენი ნაწილით შეიძინა სკამები. შემდგომ მაგიდები გაყიდა 30%-ით ძვირად, სკამები კი 20%-ით ძვირად. საბოლოოდ მაღაზიამ მიიღო მოგება 900 ლარი. რა თანხა გადაიხადა მაღაზიამ თავდაპირველად მაგიდებისა და სკამების შესაძენად?

პასუხი: 4000

5. A-დან გამოსული ავტომობილი B-ში ჩადის 4 საათში, ხოლო B-დან გამოსული მოტოციკლისტი 6 საათში. ავტომობილი გამოვიდა 1 საათით გვიან მოტოციკლისტზე და ისინი შეხვდნენ ერთმანეთს 13 საათსა და 30 წუთზე. რომელ საათზე გამოვიდა ავტომობილი? პასუხი: 11სთ 30 წთ

6. აღებულია ისეთი უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომელიც 3-ზე და 4-ზე გაყოფისას ნაშთში გვაძლევს 2-ს. იპოვეთ ის უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც ამ რიცხვისა და 297-ის უდიდესი საერთო გამყოფის ჯერადია.

პასუხი: 99

საშაბათო სკოლის შემაჯამებელი წერა მათემატიკაში

30.06.2017 - VII კლასი - ვარიანტი II

1. გამოთვალეთ

$$\frac{3\frac{1}{7} : 2\frac{3}{4} + 8\frac{2}{7} : (8,05 - 6\frac{3}{5})}{3\frac{1}{4} - 4,75 \cdot \frac{7}{19}} \cdot 1\frac{5}{16} \quad \text{პასუხი: } 6$$

2. ამოხსენით განტოლება

ა)  $0,9 \cdot (60x - 7) - \frac{4}{5} \cdot (3x + 2) = 4,3 - (5x - 3) \cdot 0,4$  პასუხი:  $1/4$

ბ)  $\frac{4x-3}{4} - (5 + 6x) : 5 = 0$  პასუხი:  $-35/4$

3. ავტომობილმა პირველ დღეს გაიარა მთელი გზის  $\frac{3}{13}$  და კიდევ 50 კმ, მეორე დღეს დარჩენილი გზის 20% და კიდევ 110 კმ. აღმოჩნდა, რომ მას გავლილი ჰქონდა მთელი გზის ნახევარი. იპოვეთ მთელი გზა. პასუხი: 1300 კმ

4. მაღაზიამ გარკვეული თანხით შეიძინა მაგიდები და სკამები. მაგიდებში გადაიხადა თანხის 40%, თანხის დანარჩენი ნაწილით შეიძინა სკამები. შემდგომ მაგიდები გაყიდა 20%-ით ძვირად, სკამები კი 30%-ით ძვირად. საბოლოოდ მაღაზიამ მიიღო მოგება 1300 ლარი. რა თანხა გადაიხადა მაღაზიამ თავდაპირველად მაგიდებისა და სკამების შესაძენად?

პასუხი: 5000

5. A-დან გამოსული ავტომობილი B-ში ჩადის 8 საათში, ხოლო B -დან გამოსული მოტოციკლისტი 12 საათში. ავტომობილი გამოვიდა 2 საათით გვიან მოტოციკლისტზე და ისინი შეხვდნენ ერთმანეთს 14 საათსა და 30 წუთზე. რომელ საათზე გამოვიდა ავტომობილი? პასუხი: 10 სთ 30 წთ

6. აღებულია ისეთი უმცირესი სამნიშნა რიცხვი, რომელიც 3-ზე და 4-ზე გაყოფისას ნაშთში გვაძლევს 2-ს. იპოვეთ ის უდიდესი ორნიშნა რიცხვი, რომელიც ამ რიცხვისა და 396-ის უდიდესი საერთო გამყოფის ჯერადია.

პასუხი: 88